მალხაზ მაცაბერიძე

ფრიდრიხ რატცელის ანთროპოგეოგრაფია - გერმანული გეოპოლიტიკის დასაწყისი



თბილისი
2016

მალხაზ მაცაბერიძე. ფრიდრიხ რატცელის ანთროპოგეოგრაფია - გერმანული გეოპოლიტიკის დასაწყისი. თბილისი, „ახალი აზრი“, 2016. – 36 გვ.

ნაშრომში განხილულია ცნობილი გერმანელი გეოგრაფის, ფრიდრიხ რატცელის ის შეხედულებები, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო გეოპოლიტიკის, როგორც დისციპლინის განვითარებას. ნაშრომი განკუთვნილია სალექციო კურსისთვის „გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები“, ასევე საინტერესო იქნება გეოპოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ISBN 978 – 9941 – 0 – 9056 - 1

შინაარსი

ბიოგრაფიული ცნობები....4
1. სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური და სივრცითი ორგანიზმი....7
პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განპირობებულობა....7
სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი....7
სახელმწიფო როგორც სივრცითი ორგანიზმი....9
2. სახელმწიფო და სივრცითი ექსპანსია....13
„სივრცის გრძნობა"....13
ომების „ბუნებრივი" ხასიათი....14
მიწის ნაკლებობა - სოციალური კონფლიქტების საფუძველი 15
სახელმწიფოს სივრცითი ზრდის კანონები....15
საზღვრები....18
დაპყრობა და კოლონიზაცია....19
„დიდი სახელმწიფოს" პარამეტრები....20
„მსოფლიო სახელმწიფოს" კონცეფცია....22
ზღვა - ძლიერების წყარო....22
მსოფლიოს გეოპოლიტიკური სტრუქტურა....24
რატცელის თეორიის ისტორიული ბედი....24
დანართი....26
ვ. დუმბაძე. ფრიდრიხ რატცელი და იმისი მნიშვნელობა მეცნიერებაში....26
აიმერიკ შოპრადი. გეოპოლიტიკის დაბადება....31

ბიოგრაფიული ცნობები

ფრიდრიხ რატცელი (Friedrich Ratzel1844-1904), რომელიც თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის ფუძემდებელია, ასევე გეოპოლიტიკის „მამად" მიიჩნევა, ნაშრომით „პოლიტიკური გეოგრაფია“ (1898 წ.) რატცელმა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა არა მხოლოდ პოლიტიკურ გეოგრაფიას, არამედ რიგი დებულებების წამოყენებით დასაბამი მისცა ახალ დისციპლინასაც, რომელსაც შემდეგ გეოპოლიტიკა ეწოდა. „რატცელის გარეშე გეოპოლიტიკის განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა", - აღნიშნავდა ოტო მაული, გერმანელი გეოპოლიტიკოსი. თუმცა საკუთრივ ტერმინ ”გეოპოლიტიკას” რატცელი არ იყენებს.

რატცელმა დაამთავრა კარლსრუეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც შეისწავლა გეოლოგია, პალეონტოლოგია და ზოოლოგია. შემდეგ სწავლა გააგრძელა ჰაიდელბერგში, სადაც პროფესორ ერნსტ გეკელის (1834-1919) მოწაფე იყო.

რატცელის მოქმედება და აზროვნება მთლიანად თავსდება იმდროინდელი გერმანიის კონტექსტში. რატცელი იყო გერმანელი ნაციონალისტი, ისევე როგორც მის თანამედროვეთა უმრავლესობა. რატცელი მოხალისედ წავიდა 1870-1871 წწ. გერმანია-საფრანგეთის ომში და „რკინის ჯვარი" მიიღო მამაცობისათვის. ომმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა რატცელზე და ნაშრომიც დაწერა „საფრანგეთთან ომის სურათები”, რომელშიც ომის მსვლელობა გერმანიის თვალთახედვით არის გაშუქებული.

ომის შემდეგ რატცელი კვლავ სამეცნიერო საქმიანობას დაუბრუნდა და ყურადღება დემოგრაფიის შესწავლაზე გადაიტანა.[1] 1876 წ. რატცელმა დაიცვა დისერტაცია თემაზე „ემიგრაცია ჩინეთში". ავტორი აღტაცებული იყო მოსახლეობის იძულებითი სივრცითი განსახლების ჩინური სისტემით, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა პეკინის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაცია. ამას

[1] რატცელის სამეცნიერო საქმიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა მოგზაურობამ ჩრდილოეთ ამერიკაში, კუბასა და მექსიკაში 1874-1875 წლებში.

რატცელი განიხილავდა მშვიდობიანი კოლონიზაციის მეთოდად, რომლის გამოყენებაც შეეძლო გერმანიას, სადაც მოსახლეობა უკვე ვიწროდ გრძნობდა თავს ორგანულ გერმანულ ტერიტორიებზე. ნაშრომში "პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეტროსპექტივა" (1898) რატცელი მიესალმებოდა გერმანელი ფერმერების გადასახლების პოლიტიკას პრუსიის მიერ ანექსირებულ პოლონურ მიწებზე.

რატცელმა 1882 წ. შტუტგარტში გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი **„ანთროპოგეოგრაფია"**, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი კონცეფციის ძირითადი იდეები: გეოგრაფიულ მონაცემებთან ხალხების ევოლუციისა და დემოგრაფიის კავშირი, ადგილის რელიეფის გავლენა ხალხების კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაზე და ა.შ. აღნიშნული ნაშრომის მეორე ტომი 1891 წელს გამოვიდა.

ამ პერიოდში რატცელმა ბევრი იმოგზაურა ევროპასა და ამერიკაში, რაც საფუძვლად დაედო მის ეთნოლოგიურ ნაშრომებს. სხვა ქვეყნებისადმი ინტერესით განპირობებულია რატცელის ნაშრომები - **„ეთნოლოგია"** (1885-1888), **„აფრიკის ახალი რუქის ესკიზი რამდენიმე ზოგადი შენიშვნით პოლიტიკური გეოგრაფიის პრინციპების შესახებ"** (1885), **„პოლიტიკური სივრცეების კვლევა"** (1885), **„სახელმწიფოები და ნიადაგები"** (1886).

რატცელი 1880 წელს გახდა მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სკოლის პროფესორი, 1886 წელს კი ლეიპციგის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის პროფესორი. ამ უნივერსიტეტში ის სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

მსოფლმხედველობრივად რატცელი ნაციონალისტი იყო და 1890 წელს შევიდა კარლ პეტერსის „პანგერმანულ ლიგაში". ასევე აქტიურად იყო ჩართული ნაციონალურ-ლიბერალური პარტიის საქმიანობაში.

ნაშრომში „ფლოტის და მსოფლიო საკითხები" რატცელი მხარს უჭერდა პანგერმანისტებს და გერმანიის საზღვაო ძლიერების ზრდისაკენ მოუწოდებდა.

რატცელი იცავდა იმ აზრს, რომ გერმანიის რეიხს უნდა ჰქონოდა მსოფლიო განზომილება, გერმანია უნდა ყოფილიყო იმპერია თავისი

მთავარი მეტოქეების - საფრანგეთისა და ინგლისის მსგავსად. რატცელის თანახმად, ამისათვის გერმანიას უნდა ჰქონოდა გავლენისა და ბატონობის ფართო ზონა. „ძლიერი სახელმწიფო მსოფლიო სახელმწიფო რომ გახდეს, ამისათვის ის წარმოდგენილი უნდა იყოს ცნობილი სივრცეების ყველა ნაწილში, კერძოდ ყველა სტრატეგიულ წერტილში", - აღნიშნავდა რატცელი.

იმდროინდელი გერმანია თავს „ვიწროდ გრძნობდა" არსებულ საზღვრებში. მიწის, რესურსების და გასაღების ბაზრების ნაკლებობა იმდროინდელი გერმანული ელიტის იდეა-ფიქსად იქცა. 1873 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა გააქრო ეიფორია, რაც საფრანგეთზე 1871 წელს მოპოვებული გამარჯვების შემდეგ არსებობდა. ვილჰელმ II გამეფებისა (1888) და ბისმარკის გადადგომის (1890) შემდეგ, უკვე აღარაფერი აკავებდა გერმანიის სწრაფვას ტერიტორიული დაპყრობებისადმი. გერმანიის ელიტას აღარ აკმაყოფილებდა ბისმარკის დროს მოპოვებული რამდენიმე კოლონია (სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკა, ტოგო, კამერუნი), გერმანია პრეტენზიას აცხადებდა სრულფასოვანი კოლონიური იმპერიის შექმნაზე.

რატცელის უმთავრესი ნაშრომია 1898 წ. გამოქვეყნებული „პოლიტიკური გეოგრაფია, ანუ სახელმწიფოთა, სავაჭრო და სამხედრო გეოგრაფია", რომელშიც ასაბუთებდა, რომ ნიადაგი არის ფუძემდებლური, უცვლელი მოცემულობა და მის გარშემო ტრიალებს ხალხთა ინტერესები. ისტორიის მსვლელობა განპირობებულია ნიადაგითა და ტერიტორიით. მისთვის კაცობრიობის ისტორია გარემოსთან ადამიანების შეგუების ისტორიაა. სახელმწიფო განიხილება ცოცხალი ორგანიზმის სახით, რომელიც მოქმედებს ბიოლოგიური კანონების შესაბამისად. ამით რატცელი აგრძელებდა მე-19 საუკუნეში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომელიც სახელმწიფოს ცოცხალ ორგანიზმს ადარებდა. ამ ნაშრომის მეორე გამოცემის (1903) წინასიტყვაობაში რატცელი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური გეოგრაფია არის „სახელმწიფოთა, ვაჭრობისა და ომების გეოგრაფია".

გარდა ზემოთდასახელებულისა, რატცელის შეხედულებები ჩამოყალიბებულია ნაშრომებში: „ხალხთმოსახლეობა", „დედამიწა და

სიცოცხლე“, „კაცობრიობა როგორც სიცოცხლის მოვლენა დედამიწაზე“ და სხვ. რატცელის სამეცნიერო მემკვიდრეობა უაღრესად დიდია: მან დაწერა 25 დიდი ნაშრომი და 500-ზე მეტი სტატია. ქვემოთ ვისაუბრებთ რატცელის მხოლოდ იმ იდეების შესახებ, რაც საფუძვლად დაედო გეოპოლიტიკას.

1. სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური და სივრცითი ორგანიზმი

პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განპირობებულობა

რატცელის აზრით, ისტორიული პროცესის ყველა ფილოსოფიურ თეორიას მხედველობის გარეშე რჩებოდა სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრესი პირობები. კერძოდ, არ იყო ნაჩვენები თუ რა გავლენას ახდენდა მასზე გეოგრაფიული გარემო. მან მიზნად დაისახა ამ ხარვეზის გამოსწორება და თავისი კვლევა-ძიების ცენტრში **პოლიტიკური ცხოვრების გეოგრაფიული განპირობებულობა** მოაქცია - ურთიერთობა სახელმწიფოსა და მიწას შორის, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და გეოგრაფიულ სივრცეს შორის.

რატცელი დედამიწას ერთ მთლიანობად განიხილავდა, რომლის განუყოფელი ნაწილი ადამიანია. რატცელი თვლიდა, რომ ადამიანი ისევე უნდა შეეგუოს გარემოს, როგორც ეს ახასიათებს ფლორასა და ფაუნას. რატცელისათვის კაცობრიობის ისტორია - გარემოსადმი ადამიანთა შეგუების ისტორიაა.

სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი

რატცელის აზრით, სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ბიოლოგიური და გეოგრაფიული კანონები. რატცელი გეოგრაფიულ დეტერმინიზმს სოციალური დარვინიზმს უთავსებდა, ანუ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ბიოლოგიურ მიდგომას. პრო-

ფესორი ერნსტ გეკელი, რომელსაც რატცელი ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დაუახლოვდა, ჩარლზ დარვინის მოწაფე იყო. რატცელმა თავისი თეორიის ჩამოყალიბების დროს დარვინის მრავალი იდეა გამოიყენა. ამ მხრივ რატცელი მარტო არ იყო. დარვინის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ მეცნიერებებზე. შედეგად წარმოიქმნა მთელი მიმდინარეობა, რომელსაც **„სოციალ-დარვინიზმი"** ეწოდა. ეს მიდგომა ბუნების განვითარების კანონებს საზოგადოების განვითარების კანონებადაც განიხილავდა. რატცელი აცხადებდა, რომ ეს ანალოგია სიტყვა-სიტყვით არ უნდა გაეგოთ, მაგრამ მისმა ზოგიერთმა მოწაფემ გაიგივება აბსურდამდე მიიყვანა.

დარვინის ევოლუციური თეორიის გავლენა რატცელზე უმთავრესად იმაში გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს განიხილავდა ცოცხალი ორგანიზმის სახით, რომელიც არსებობისათვის იბრძვის. ამ კუთხით რატცელი ასევე აგრძელებდა გერმანული „ორგანული" სოციოლოგიის სკოლის ტრადიციებს, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი **ფერდინანდ ტიონისი** (1855-1936) იყო.

რატცელი სახელმწიფოს განიხილავდა ბიოლოგიური ორგანიზმის სახით, რომლის თვისებებიც ნაწილობრივ ხალხის თვისებებს წარმოადგენს, ნაწილობრივ კი მიწის თვისებებს. სახელმწიფო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი ვითარდება ბიოლოგიური კანონების შესაბამისად, ექვემდებარება "ყველა იმ ზეგავლენას, რასაც ყოველივე ცოცხალი ორგანიზმი", რატცელის თანახმად, "სახელმწიფოს ორგანული ხასიათის გამოვლინება ისაა, რომ იგი მოძრაობს და იზრდება როგორც მთლიანობა".

რატცელის მოწაფე დოქტორი **ემილ შიონე** 1911 წელს „პოლიტიკურ გეოგრაფიაში" თავისი მასწავლებლის დამსახურების შესახებ აღნიშნავდა, რომ რატცელმა პირველად გამოიყენა პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართ "სრულიად ახალი მეთოდი, რომელმაც შესანიშნავი შედეგები მოიტანა თანამედროვე ბიოლოგიის პრაქტიკაში: დაიწყო სრულიად სხვადასხვა დროისა და დედამიწის სხვადასხვა კუთხის, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი და სხვადასხვაგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთმანეთთან შედარება და გან-

ხილვა როგორც ცოცხალი არსებებისა, რომლებიც, სხვა ორგანიზმების მსგავსად, ჩნდებიან, იზრდებიან და კვლავ ქრებიან".

რატცელის თქმით, ბევრჯერ სცადეს სახელმწიფო შეედარებინათ ორგანიზმთან, მაგრამ უშედეგოდ. ეს აიხსნება იმით, რომ სახელმწიფოს ყოველთვის ადარებდნენ მაღალგანვითარებულ ორგანიზმს, ე. ი. ისეთ ორგანიზმს, რომლის ცალკეულმა ნაწილებმა ყოველგვარი დამოუკიდებლობა დაკარგეს, მაშინ როდესაც სრულყოფილ სახელმწიფოში მოქალაქეები მთლიანობის ნაწილი არიან, მაგრამ იმავდროულად სრულად ანვითარებენ თავიანთ ინდივიდუალობას.

რატცელი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო როგორც ორგანიზმი მცენარეებთან და ცხოველებთან შედარებით ძალზედ არასრულყოფილია, რადგანაც მისი წევრები ინარჩუნებენ ისეთ დამოუკიდებლობას, რაც არ გვხვდება ძალზედ დაბალი განვითარების ცხოველებსა და მცენარეებშიც კი. ბიოლოგიური ორგანიზმის თვალსაზრისით, სახელმწიფოსთან ერთ დონეზე დგას ზოგიერთი წყალმცენარე და ღრუბელი.

მიუხედავად ამისა, ორგანული თვალსაზრისით ამ არასრულყოფილ სახელმწიფოდ წოდებულ ადამიანთა გაერთიანებას შეუძლია მძლავრი, მთლიანი მოქმედება და ეს იმის წყალობით, რომ **სახელმწიფო არის სულიერი და ზნეობრივი ორგანიზმი.** სულიერი კავშირები ავსებს ბიოლოგიური ორგანიზაციის ნაკლოვანებებს და ამ თვალსაზრისით სახელმწიფოსთან არ შეიძლება გაიგივდეს არანაირი ბიოლოგიური ინდივიდი, იმდენად მაღლა დგას სახელმწიფო მათზე. რაც უფრო მტკიცეა ეს სულიერი კავშირი, მით უფრო მეტ სრულყოფილებას აღწევს სახელმწიფო.

ბიოლოგიურ ორგანიზმთან უბრალო შედარება უფრო მართებულია პრიმიტიულ, ვიდრე განვითარების მაღალ საფეხურზე ასულ სახელმწიფოებთან. რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო, მით უფრო დაშორებულია იგი თავის ორგანულ საფუძველს.

სახელმწიფო როგორც სივრცითი ორგანიზმი

რატცელი აღნიშნავდა, რომ ბიოგეოგრაფიის თვალსაზრისით სახელმწიფო არის დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელების ერთ-ერთი

ფორმა. მასზე იგივე ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას, რაც სიცოცხლეზე საერთოდ. ადამიანების განსახლების განსაკუთრებული კანონები განსაზღვრავს ასევე ადამიანთა მიერ შექმნილ სახელმწიფოთა გავრცელებას. ადამიანთან ერთად სახელმწიფო ვრცელდება მსოფლიოს ყველა კუთხეში და მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდნენ სახელმწიფოები ტერიტორიულად და მოსახლეობის ოდენობითაც.

რატცელის თქმით, სახელმწიფოზე საუბრისას წარმოგვიდგება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი კაცობრიობის გარკვეული ნაწილი, ადამიანის შრომის გარკვეული ნაყოფი და დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი. სახელმწიფო მიწასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზმია და გააჩნია ის უპირატესობანი, რასაც მისთვის მიწა უზრუნველყოფს.

რატცელის თანახმად, სახელმწიფო ისეთი ორგანიზმია, რომლის შემადგენლობაშიც დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი იმდენად არსებით როლს ასრულებს, რომ სახელმწიფოს ყველა თვისება განისაზღვრება ხალხისა და მისი ტერიტორიის თვისებებით. ასეთი ტერიტორიული, ანუ ბუნებრივი თვისებებია მის მიერ დაკავებული დედამიწის ზედაპირის სიდიდე, მდებარეობა, საზღვრები, ზედაპირის ფორმები, მცენარეულობა და მდინარეები, დედამიწის ზედაპირის სხვა ნაწილებთან მიმართება.

ხალხის კავშირი ტერიტორიასთან იმდენად მტკიცდება, რომ ხალხი და მისი ტერიტორია რაღაც ერთიანი ხდება და შეუძლებელია მათი ერთმანეთისგან განცალკევება ისე, რომ არ მოისპოს სახელმწიფოს ცხოვრებაც.

რატცელის მრავალმა წინამორბედმა (მონტესკიე, ჰერდერი, რიტერი) ყურადღება მიაქციეს კავშირს სახელმწიფოს სიდიდესა და მის ძალას შორის, მაგრამ მხოლოდ რატცელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სივრცე არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი. მისთვის სივრცე არა უბრალოდ სახელმწიფოს მიერ დაკავებული ტერიტორია იყო, არამედ მისი ძალის ერთ-ერთი ატრიბუტიც.

რატცელისათვის სახელმწიფოს როგორც ცოცხალ ორგანიზმს გარკვეულ ნიადაგში აქვს ფესვები გადგმული; სახელმწიფო ყალიბდება ტერიტორიული რელიეფისა და მასშტაბისაგან, ისევე როგორც ხალხის მიერ მათი გააზრებისაგან. ამრიგად, სახელმწიფოში აისახება ობიექტური გეოგრაფიული მოცემულობა და ამ მოცემულობის სუბიექტური საერთოეროვნული გააზრება, რაც პოლიტიკაში გამოიხატება. "ნორმალურ" სახელმწიფოდ რატცელს მიაჩნდა ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ორგანულადაა შეხამებული ერის გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეთნოკულტურული პარამეტრები.

სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია იმიტომ, რომ მასში ერთმანეთს ერწყმის ხალხის ცხოვრება გარკვეულ ნიადაგზე, ეს კავშირი მტკიცდება და წარმოუდგენელი ხდება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის გარეშე. სახელმწიფოს როგორც ორგანიზმის მშენებლობაში მონაწილეობს დედამიწის ზედაპირის გარკვეული ნაწილი, ასე რომ სახელმწიფოს თვისებები - ხალხისა და მიწის თვისებებია.

ხალხი და სივრცე, ანუ რატცელისა და, საერთოდ, გერმანული გეოპოლიტიკის ტერმინოლოგიით, „სისხლი" და „მიწა", ან „რასა" და „სივრცე" განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს ხასიათს მთელი მისი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე.

რატცელი სივრცეს განიხილავდა პოლიტიკური რესურსის სახით და ამით აქცენტს აკეთებდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის გეოგრაფიულ განპირობებულობაზე. სივრცე უბრალოდ ტერიტორია კი არ არის, არამედ პოლიტიკური ძალაა.

სახელმწიფო ყალიბდება დედამიწის გარკვეულ ზედაპირთან მიჯაჭვული ორგანიზმის სახით. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია **ტერიტორიული სიდიდე, ადგილმდებარეობა** და **საზღვრები.** შემდეგ მოდის ნიადაგის ტიპები მცენარეულობასთან ერთად, ირიგაცია და, ბოლოს, თანაფარდობა დედამიწის ზედაპირის დანარჩენ კონგლომერატებთან. პირველ რიგში ესაა მიმდებარე ზღვები და დაუსახლებელი მიწები. ყველა ამ მახასიათებლის ერთობლიობა შეადგენს ქვეყანას (დას ანგ), მაგრამ როდესაც საუბარია „ჩვენს ქვეყანაზე" მას ემატება ყოველივე ის, რაც ამ მიწაზე ადამიანმა შექმნა და მი-

წასთან დაკავშირებული ყველა მოგონება. ამრიგად, თავდაპირველი წმინდა გეოგრაფიული ცნება გადაიქცევა ქვეყნის მცხოვრებთა და მათი ისტორიის სულიერ და ემოციურ კავშირად.

სახელმწიფოს დამახასიათებელ სამ მთავარ გეოგრაფიულ ფაქტორს - ტერიტორიის სიდიდეს, გეოგრაფიულ მდებარეობას და საზღვრების ხასიათს რატცელი მიიჩნევდა **სახელმწიფოს ძალის** უმთავრეს მაჩვენებლებად, რომლებიც სახელმწიფოს პოლიტიკას განაპირობებენ. ამ პოლიტიკის არსი კი, რატცელის თანახმად, „სივრცისათვის მარადიული ბრძოლაა".

რატცელის სიტყვით, სახელმწიფოები სივრცით ბაზაზე ვითარდებიან, სულ უფრო მეტად ერწყმიან მას, მისგან სულ უფრო მეტ ენერგიას იღებენ. ამრიგად სახელმწიფოები იქცევიან სივრცით მოვლენებად, რომლებიც ამ სივრცის მიერ იმართებიან და ცოცხლდებიან. სახელმწიფო „ჯდება" სიცოცხლის ექსპანსიის მოვლენათა რიგში და ამ მოვლენათა მწვერვალს წარმოადგენს.

რატცელისათვის „სივრცე" (ღაუმ) ახალ თვისებრიობას იძენს, ხდება „სასიცოცხლო სფერო", „სასიცოცხლო სივრცე". აქედან გამომდინარეობს რატცელის კიდევ ორი მნიშვნელოვანი ტერმინი „სივრცითი აზრი" (ღაუმ სინნ) და „სასიცოცხლო ენერგია" (ებენსენერგი). სივრცესა და სივრცისათვის ბრძოლას რატცელი ისტორიის მამოძრავებელ ძალად, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხად განიხილავდა. ეს თეზისები შემდეგ გეოპოლიტიკის ფუძემდებლურ პრინციპებად იქცა.

დასახლებული სივრცე ხელს უწყობს სახელმწიფოს განვითარებას, განსაკუთრებით თუკი ეს სივრცე შემოფარგლულია ბუნებრივი საზღვრებით. თუ ხალხი თავის ტერიტორიაზე ბუნებრივად გრძნობს თავს, ის მუდმივად ახდენს ნიადაგიდან გამომდინარე ერთი და იმავე მახასიათებლების კვლავწარმოებას.

სივრცე - ბუნების კონკრეტული გამოხატულება განიხილება როგორც ეთნოსის უწყვეტი სასიცოცხლო სხეული, როგორც დასახლებული სივრცე.

2. სახელმწიფო და სივრცითი ექსპანსია

„სივრცის გრძნობა"

რატცელის აზრით, დიდი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ხალხებს, რომელთაც სივრცის გრძნობა გააჩნიათ. რატცელი ესწრაფვოდა „სივრცის გრძნობა" (ღაუმ სინნ) გაეღვიძებინა გერმანიის მესვეურთათვის. მისი თქმით, „სივრცის გრძნობის" დაკარგვა, რაც ტერიტორიულ გაფართოებაზე უარის თქმას ნიშნავს, სახელმწიფოსა და ერის გადაგვარებას იწვევს. ე.ი. საზღვრები შეიძლება გაფართოვდეს და შევიწროვდეს მოცემული ხალხის დინამიზმის შესაბამისად. „სივრცის გრძნობა" რატცელისათვის იგივეა, რაც „მართვის ნიჭი", „კოლონიზაციის უნარი".

ყოველი ხალხი უნდა აღიზარდოს პატარა ქვეყნების დიდ სახელმწიფოდ განვითარების კონცეფციაზე დაყრდნობით. ეს პროცესი სულ უფრო უნდა ძლიერდებოდეს, რათა დაიცვან ხალხი პატარა სივრცის კონცეფციებზე დაბრუნებისაგან. „ყოველი სახელმწიფოს გახრწნა იწყება დიდი სივრცის კონცეფციაზე უარის თქმის შემთხვევაში", - წერდა რატცელი.

ამ თვალსაზრისით, რატცელზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩრდილოეთ ამერიკასთან გაცნობამ, რასაც ორი წიგნი მიუძღვნა: „ჩრდილოამერიკული ქალაქებისა და ცივილიზაციის რუქები" (1874) და „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები" (1878-1880). რატცელის აზრით, „სივრცის გრძნობა" ამერიკელებს უმაღლეს დონეზე აქვთ განვითარებული, რადგანაც ისინი აღმოჩნდნენ „ცარიელი" სივრცეების ათვისების პრობლემის წინაშე, ამასთან გააჩნიათ ევროპის ისტორიის „პოლიტიკურ-გეოგრაფიული" გამოცდილება. ამერიკელები გააზრებით ანხორციელებენ იმას, რასაც „ძველი სამყარო" ინტუიციით და თანდათანობით უახლოვდებოდა.

ომების „ბუნებრივი" ხასიათი

რატცელის თანახმად, სახელმწიფოები მეზობელ სახელმწიფოებთან შეჯიბრში ვითარდებიან, „ჯილდოს" კი ამ ბრძოლაში ახალი ტერიტორიები წარმოადგენს. სახელმწიფოთა სივრცითი ზრდა შეუძლებელია ჰარმონიულად, მშვიდობიანად, ომების გარეშე განხორციელდეს. ომები, სახელმწიფოთა ურთიერთბრძოლა „ბუნებრივად" გამომდინარეობდა სახელმწიფოს ბიოლოგიური არსიდან.

რატცელისათვის ომების მიზეზი მიწა და ხალხია, რომლის რიცხობრივი ზრდაც გარდუვალად მოითხოვს სახელმწიფოს სივრცით გაფართოებას. რატცელის მიხედვით, „ხალხის არსებობა სივრცის გარეშე", გარდუვალად იწვევს „მიწის მოპოვებისკენ სწრაფვას", ანუ ომს.

ადამიანთა ყოველი ერთობა მუდმივი ბრძოლის პროცესშია თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების შესანარჩუნებლად. ის ცდილობს დარჩეს ორგანიზმად, მაშინ როდესაც ყველაფერი მიმართულია მის დასაყვანად ორგანოს დონეზე. რატცელი აღნიშნავდა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს დედამიწაზე დარჩენილი იყო სულ 54 სახელმწიფო, რომლებიც დამოუკიდებლის სტატუსს იმსახურებდნენ, მაშინ როდესაც რამდენიმე საუკუნით ადრე რამდენიმე ათასი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა. რატცელის თქმით, მსოფლიო გაცვლა-გამოცვლა მუშაობს ყველა სახელმწიფოს ერთ სამეურნეო ორგანიზმად გასაერთიანებლად, რომელშიც ყველა ქვეყანა და ხალხი მხოლოდ დაქვემდებარებული ორგანოები იქნებოდა.

პოლიტიკური განვითარების მიზანი სულ უფრო მეტად ხდება ტერიტორიული გაფართოება. ერთი სახელმწიფოს დიდი სივრცეები მეზობელ უფრო პატარა სახელმწიფოს უბიძგებს ახალი მიწების მოპოვებისკენ. რომელიმე ტერიტორიის დაკარგვა სახელმწიფოს უბიძგებს ახალი ტერიტორიების შეძენისაკენ. რატცელის თქმით, გერმანიის, ავსტრიის და საფრანგეთის ისტორია სავსეა ამისი მაგალითებით.

რატცელის კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ მან დაწერა „კატეხიზისი იმპერიალისტებისათვის". რატცელის „გაფართოებადი სივრცის" კონცეფცია, **აგრესიის გზით სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობის გაუმჯობესების იდეა,** იმპერიალისტური პოლიტიკის პირდა-

პირ გამართლებასა და დასაბუთებას წარმოადგენდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, რატცელი „ობიექტურობის დაცვას“ ცდილობდა. მისთვის მთავარი იყო შეექმნა კონცეპტუალური ინსტრუმენტი „სახელმწიფოსა და ხალხების სივრცისადმი მიმართების ისტორიის ადექვატური გააზრებისათვის".

მიწის ნაკლებობა - სოციალური კონფლიქტების საფუძველი

რატცელისათვის მიწა არა მარტო სახელმწიფოებს შორის ბრძოლის მიზეზია, არამედ მიწის ნაკლებობა „არსებობისათვის ბრძოლას" ქვეყნის შიგნითაც განაპირობებს. მიწის პატარა ფართობზე მკვეთრად იზრდება ადამიანთა რაოდენობა და „თუკი კოლონიზაციას არ მოაქვს ახალი სივრცე", ადამიანები ძალზე ახლო შეხებაში მოდიან ერთმანეთთან, ებრძვიან და ფიტავენ ერთმანეთს.

სახელმწიფო რაც უფრო ფართოდ შლის „საგარეო მუშაობას", მით უფრო უკანა რიგში გადადის შინაგანი წინააღმდეგობანი, „ახალი სივრცე, რომელსაც ხალხი შეეზრდება, ის წყაროა, საიდანაც სახელმწიფოებრივი გრძნობა ახალ ძალებს იკრებს".

არსებითად, სახელმწიფოს რატცელისეული გაგება მის შიგნით სოციალურ კონფლიქტებს გამორიცხავდა. სახელმწიფო მისთვის მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი იყო. სახელმწიფო წარმოიშობა იქ, სადაც მთელი საზოგადოება ერთიანდება ყველასთვის საერთო მიზნების მისაღწევად და რომელთა მიღწევაც შეიძლება მხოლოდ საერთო ძალისხმევის წყალობით დროის გარკვეულ შუალედში. რატცელის თანახმად, სახელმწიფო წარმოიშვა იმიტომ, რომ მთელ საზოგადოებას სჭირდებოდა ეს ორგანიზაცია თავისი საერთო ინტერესების დასაცავად.

სახელმწიფოს სივრცითი ზრდის კანონები

სახელმწიფოსადმი „ორგანული" მიდგომიდან გამომდინარე, რატცელი სახელმწიფოს სივრცით ექსპანსიას განიხილავდა ცოცხალი ორგანიზმების ზრდის ბუნებრივი პროცესის სახით. სახელმწიფო, დროში განვითარებასთან ერთად, სივრცეშიც უნდა ფართოვდებოდეს.

სივრცე - ბუნების საზღვრებია, რომელშიც მიმდინარეობს ხალხების ექსპანსია. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი „სივრცითი კონცეფცია", ე.ი. იდეა საკუთარი ტერიტორიული სამფლობელოების შესაძლო ფარგლების შესახებ. სახელმწიფოს დაცემა მისი სივრცითი კონცეფციის შესუსტების შედეგია.

რატცელი არ კმაყოფილდება „გეოგრაფიული დეტერმინიზმის" პრინციპით, რომელიც საზოგადოების განვითარებას მის მიერ დაკავებული სივრცით ხსნიდა. მას ემატება „სასიცოცხლო სივრცის" მოპოვებისკენ მიმართული მოწოდება, რომლის გარეშეც შეუძლებლად გამოცხადდა სახელმწიფოს არსებობა და განვითარება.

სახელმწიფოსადმი, როგორც ცოცხალი ორგანიზმისადმი დამოკიდებულება ამავე დროს ნიშნავდა **„საზღვრების ურღვევობის" კონცეფციაზე** უარის თქმას. სახელმწიფო იბადება, იზრდება და კვდება ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად. მისი სივრცითი გაფართოება და შეკუმშვა ბუნებრივი პროცესია, რაც მის შინაგან სასიცოცხლო ციკლს უკავშირდება. რატცელი აღნიშნავდა: „თუ რომელიმე ხალხი თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე არ იყო უხვად უზრუნველყოფილი მიწით, მისი უმაღლესი და უპირველესი დანიშნულება გამოიხატება იმაში, რომ გაიუმჯობესოს გეოგრაფიული მდგომარეობა: იგი სპობს შინაგან წინააღმდეგობებს, აუმჯობესებს გარე საზღვრებს, ზრდის თავის ტერიტორიას მეზობელი მიწების დაპყრობის გზით, იძენს შორეულ კოლონიებს".

რატცელის თქმით, ძველ დროში პოლიტიკა ძალზედ ხშირად ატარებდა არატერიტორიულ ხასიათს. ასეთი ხასიათი ჰქონდა მას საბერძნეთში, რომელიც ესწრაფვოდა გამხდარიყო მსოფლიო სავაჭრო ზესახელმწიფო ისე, რომ არ დაყრდნობოდა საკუთარ ტერიტორიას. ეს მცდელობა წარუმატებელი იყო საბერძნეთისა და ფინიკიისთვისაც. იგივე შეცდომას ხშირად იმეორებდნენ სავაჭრო კოლონიები: ისინი ეკონომიკურ ექსპლუატაციას უწევდნენ ტერიტორიებს, იმის ნაცვლად რომ თავიანთ ეროვნულ ნაწილად ექციათ. ამაში მდგომარეობდა ჩრდილოეთ ამერიკაში ჰოლანდიური კოლონიზაციის სისუსტე ინგლისურ კოლონიზაციასთან შედარებით: მაშინ როდესაც ჰოლანდია ზღვის იქით ვაჭრებს

აგზავნიდა, ინგლისი იპყრობდა ტერიტორიებს მიწათმოქმედთა მეშვეობით.

რატცელი აღნიშნავდა, რომ დღეისათვის (ე.ი. მე-19 საუკუნის ბოლოს) ნებისმიერი ომის მიზანია მოწინააღმდეგისათვის ტერიტორიის ნაწილის წართმევა და ეს მიიჩნევა მტრის დასუსტების საიმედო საშუალებად. მიწის გარეშე შეუძლებელია მტკიცე პოლიტიკური არსებობა. სახელმწიფოები, რომლებიც გარკვეულ დროს მიწის გარეშე არსებობდნენ, მხოლოდ მაშინ ხდებოდნენ დიდი სახელმწიფოები, როდესაც დაეუფლებოდნენ ხოლმე ტერიტორიას. ამას შეიძლება თვალი გავადევნოთ ლამაიზმის, პაპობის, ხალიფატის ისტორიაში.

მეცნიერებისა და პოლიტიკის შეერთებით, რატცელი ცდილობდა შეექმნა სახელმწიფო ხელისუფლების „სივრცითი ტექნოლოგია", პირველ რიგში გერმანული ექსპანსიონიზმის ინტერესებიდან გამომდინარე. „პოლიტიკურ გეოგრაფიაში" რატცელი შეეცადა ჩამოეყალიბებინა ტერიტორიული ექსპანსიის ლოგიკა, მოგვიანებით კი წიგნში **„სახელმწიფოთა სივრცითი ზრდის კანონების შესახებ"** (1901) რატცელმა ჩამოაყალიბა სახელმწიფოთა სივრცითი ზრდის (ექსპანსიის) შვიდი კანონი, რომელთაც ის უნივერსალურად მიიჩნევდა:

1. სახელმწიფოს სივრცე იზრდება მისი კულტურის ზრდასთან ერთად;

2. სახელმწიფოს სივრცით ზრდას თან სდევს მისი განვითარების სხვა გამოვლინებანი, აქტივობის ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: იდეოლოგიის, წარმოების, კომერციული მოღვაწეობის სფეროებში, მძლავრ „მიზიდულობით გამოსხივებაში", პროზელიტიზმში;

3. სახელმწიფოს გაფართოება ხდება ნაკლები მნიშვნელობის პოლიტიკური ერთეულების (პატარა სახელმწიფოების) ჩაყლაპვითა და აბსორბირებით;

4. საზღვარი არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო და როგორც ასეთი, მოწმობს მის ზრდაზე, ძალასა ან სისუსტეზე და მის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე;

5. სივრცითი ექსპანსიის განხორციელებისას სახელმწიფო ცდილობს მოიცვას თავისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რეგიონები: სანაპირო ხაზები, მდინარეები, დაბლობები და ზოგადად, რესურსებით მდიდარი ტერიტორიები;

6. ექსპანსიის თავდაპირველი იმპულსი გარედან მოდის, რადგანაც გაფართოებისკენ სახელმწიფოს „უბიძგებს“ მასთან შედარებით აშკარად დაბალი ცივილიზაციის სახელმწიფო (ან ტერიტორია);

7. უფრო სუსტი ერების ასიმილაციის (შერწყმის) საერთო ტენდენცია სახელმწიფოს ტერიტორიის კიდევ უფრო მეტად გაფართოებას უწყობს ხელს.

რატცელი სახელმწიფოთა სივრცითი ზრდის კანონების დადასტურებას გერმანიის ახალი ისტორიის მოვლენებში ხედავდა, როდესაც პატარა „სახელმწიფო რაიონები" „დიდ რეიხად" გადაიქცა.

რატცელის მიერ ჩამოყალიბებული „კანონები” ასახავდა მე-19 საუკუნის ბოლოს არსებულ საერთაშორისო ურთიერთობათა რეალობას და მსოფლიო წესრიგის იმ ტიპს, როდესაც სახელმწიფოს ძლიერება და სიმდიდრე იგივდებოდა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიის სიდიდესთან.

საზღვრები

თავისი კონცეფციიდან გამომდინარე, რატცელი საზღვრებს მიიჩნევდა დროებით შემზღუდველად, რომელიც შეიძლება შეიცვალოს, თუკი ეს სჭირდებათ ადამიანებს. რატცელის თქმით, ბუნებაში არ არსებობს „საზღვრების კარტოგრაფიული წარმოდგენა”, რუქებზე საზღვრები მხოლოდ აბსტრაქციაა, რეალობა კი „საზღვრისპირა ზოლია”.

რატცელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებრივი საზღვრების საკითხს სახელმწიფოს ცხოვრებაში. მან ჩამოაყალიბა კანონი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ბუნებრივი საზღვრების ხელსაყრელობა დამოკიდებულია მის სიგრძეზე. სახმელეთო საზღვრების ხელსაყრელობა უკუპროპორციულია მისი სიგრძისა, ხოლო საზღვაო საზღვრების ხელსაყრელობა პირდაპირპროპორციულია მათი სიგრძისა.

რატცელი საზღვაო სანაპიროს მიიჩნევდა პოლიტიკური საზღვრების მნიშვნელოვან ტიპად: მისი თქმით, სანაპირო გვამეზობლებს ბუნებასთან და ეს მეზობელი, მიუხედავად ზღვის მოქცევისა და ქარიშხლებისა, უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ყველაზე მეგობრულად განწყობილი მეზობელი.

სახელმწიფოს ბუნებრივი მდგომარეობის იდეალად რატცელი მიიჩნევდა სახელმწიფოს მიერ მთელი „მსოფლიო კუნძულის" დაკავებას - ანუ კონტინენტზე ზღვიდან ზღვამდე განფენას. მსოფლიოს პოლიტიკურ რუქაზე ასეთი ქვეყნები ცოტაა. მათ შორის რუსეთს, აშშ-ს და კანადას ყველაზე გრძელი საზღვაო საზღვრები ჰქონდათ.

დაპყრობა და კოლონიზაცია

ხალხის რიცხობრივ ზრდას სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება მოსდევს. მოსახლეობის ზრდისათვის აუცილებელია ახალი სივრცეები: თავიდან ის იყენებს ქვეყნის შიგნით მიწის იმ ნაწილებს, რომლებიც დაუსახლებელი რჩებოდა; ეს შიდა კოლონიზაციაა. თუკი ეს არასაკმარისი აღმოჩნდება, ხალხი გარე კოლონიზაციას იწყებს, რაც ხშირად სამხედრო დაპყრობას უკავშირდება.

სახელმწიფოს გაფართოება ხორციელდება ან დაპყრობის გზით, ან კოლონიზაციის გზით. დაპყრობა ხდება ერთბაშად და სწრაფად, კოლონიზაცია კი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პროცესია. ევროპა ის ბირთვია, საიდანაც ხდება კოლონიური და ფილიალური სახელმწიფოების განვითარება. რატცელი აღნიშნავდა, რომ კოლონიზაციისათვის აუცილებელი დაუსახლებელი მიწები აღარ დარჩა და უკვე დიდი ხანია კოლონიზაციის საფუძველი გახდა სხვა ხალხების შევიწროება.

რატცელი როდესაც საუბრობდა ადამიანების კავშირზე თავიანთ საცხოვრებელ მიწასთან განსაკუთრებით აღნიშნავდა ხალხის მობილურობის ელემენტების არსებობას. მისი თქმით, მობილურობაში მდგომარეობს ყველაზე ელემენტარული პოლიტიკური ძალა. „რაც უფრო მობილურია ხალხი, მით უფრო მეტი სივრცე უკავია", - აღნიშნავდა რატცელი.

„დიდი სახელმწიფოს" პარამეტრები

რატცელი სახელმწიფოებს სამ ჯგუფად ყოფდა: კონტინენტური (5 მლნ. კვ. კმ.), საშუალო (5 მლნ კვ. კმ-ზე ნაკლები 200 ათას კვ კმ.-დე) და პატარა (200 ათას კვ. კმ-ზე ნაკლები).

ძველი „მსოფლიო სახელმწიფოები" (ბაბილონი, ასურეთი, სპარსეთი, ეგვიპტე) თანამედროვეებთან შედარებით საშუალონი არიან. ასურეთისა და ბაბილონის ფართობი დაახლოებით 130 ათას კვ. კმ-ს შეადგენდა, ეგვიპტის დასახლებული სივრცე სულ 30 ათასი კვ. კმ. იყო, ხოლო უდაბნოსთან ერთად ეგვიპტის ფართობი 400 ათას კვ. კმ-ს შეადგენდა.

სპარსეთის სახელმწიფო ძვ. წ. მე-5 საუკუნეში 7 მლნ კვ. კმ. იყო, რომის იმპერია ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ 3,3 მლნ. კვ. კმ., ხოლო ახალი წ. აღ. მე-3 საუკუნეში 5,3 მლნ კვ. კმ-ს მიაღწია. მონღოლთა იმპერია მე-13 საუკუნეში 11 მლნ კვ. კმ. იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის კი რუსეთის იმპერიის ფართობი 23 მლნ. კვ. კმ., ხოლო დიდი ბრიტანეთის 31 მლნ. კვ. კმ. იყო.

რატცელის თქმით, დედამიწის თანამედროვე დაყოფის ყველაზე ღირშესანიშნავი ნიშანი, რამდენიმე სახელმწიფოს უდიდესი მასშტაბები, უკანასკნელი საუკუნეების თავისებურებაა, რამაც ყველაზე დიდი განვითარება მე-19 საუკუნეში ჰპოვა. არსებულ კონტინენტური ზომის სახელმწიფოებს შორის მხოლოდ ჩინეთს შეიძლება ეწოდოს ძველი, მაგრამ მანაც თავისი ტერიტორიების ნახევარზე მეტი (მონღოლეთი და მანჯურია, ტიბეტი, იუნანი, დასავლეთ სეჩუანი, ფორმოზა) მხოლოდ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში შეიძინა. დანარჩენი დიდი სახელმწიფოები: რუსეთის იმპერია, ბრაზილია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკა (კანადა), ავსტრალია წარმოიშვნენ უკანასკნელი ორნახევარი საუკუნის განმავლობაში - „ველური ხალხების პატარა სახელმწიფოების ტერიტორიებზე".

პატარა სახელმწიფოები ჩვეულებრივ ძალზედ მჭიდროდ არიან დასახლებულნი, დიდ სახელმწიფოებში კი შედარებით მეჩხერი მოსახლეობაა. ცოტა ხალხი დიდ სივრცეზე ნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი მნიშვნელოვანი ზრდა. ქვეყნები 1 მლნ კვ. კმ.-ით და რამდენიმე მილი-

ონიანი მოსახლეობით, წარმოადგენენ მომავლის დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც დროთა განმავლობაში შეეძლება 100 მილიონიანი ხალხის გამოკვება.

რატცელის დასკვნით, იმდროინდელი გერმანიის მიერ წამოყენებული მოთხოვნა კოლონიების მიღების თაობაზე ბუნებრივი ბიოლოგიური განვითარების შედეგი იყო, რაც ყველა ახალგაზრდა და ძლიერ ორგანიზმს ახასიათებს. რატცელის აზრით, გერმანიის უმთავრესი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები გამოწვეული იყო უსამართლო, ძლიერ ვიწრო საზღვრებით, რაც მის დინამიურ განვითარებას აფერხებდა.

რატცელს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო, თუკი მას სურს ჭეშმარიტად დიდი სახელმწიფო იყოს, ტერიტორიულად დაახლოებით 5 მლნ. კვ.კმ. უნდა ყოფილიყო. რატცელი ამას 1897 წელს აღნიშნავდა, როდესაც იმდროინდელი გერმანიის ფართობი დაახლოებით 540 ათას კვ.კმ-ს შეადგენდა („ზღვის იქითა“ კოლონიები კი დაახლოებით 2 მლნ 265 ათასი კვ. კმ-ს შეადგენდა). რატცელი თავის „პოლიტიკურ გეოგრაფიას" პირველ რიგში გერმანიისთვის წერდა, ადვილი წარმოსადგენია, რატცელის აზრით, თუ რა „ძალისხმევა" სჭირდებოდათ, გერმანიის მესვეურებს „დიდი სახელმწიფოს" სტატუსის მისაღწევად.

რატცელი თვლიდა, რომ დიდი ბრიტანეთი ვეღარ აკონტროლებდა თავის იმპერიას და მას უნდა ჩანაცვლებოდა რომელიმე ახალგაზრდა და ძლიერი სახელმწიფო.

გერმანიის მმართველი კლასი პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში მართლაც გამსჭვალული იყო ტერიტორიების შეძენის სურვილით. რეიხსკანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა საფრანგეთის ელჩს განუცხადა, რომ გერმანიის მოსახლეობის სწრაფი ზრდის, მრეწველობის, ვაჭრობის და ფლოტის არნახული განვითარების პირობებში იმპერია იძულებულია რაიმე გზით გაფართოვდეს: "ნებისმიერი მზარდი ორგანიზმის უფლების ძალით გერმანელი ხალხი ასევე მოითხოვს ექსპანსიის შესაძლებლობებს".

1897 წელს ფონ ბიულოვი (იმ დროს სტატს-მდივანი საგარეო საქმეთა დარგში, მოგვიანებით კი რეიხსკანცლერი) გერმანულ კლუბ-

ში გამოსვლისას აღნიშნავდა: „წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც გერმანელი ერთ თავის მეზობელს მიწას უთმობდა, მეორეს - ზღვას, თავისთვის კი ზეცას იტოვებდა, სადაც ტახტზე წმინდა დოქტრინა ზის... ჩვენ ასევე მოვითხოვთ ადგილს მზის ქვეშ".

„მსოფლიო სახელმწიფოს" კონცეფცია

რატცელის აზრით, დიდი სივრცე სიცოცხლის შენარჩუნებისთვისაა აუცილებელი. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის მოთხოვნილება დიდ სივრცეზე და ამ სივრცის ეფექტური გამოყენების უნარი XX საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი გახდებოდა. რატცელს მიაჩნდა, რომ მომავალში გაბატონდებოდნენ დიდი სახელმწიფოები, რომელთა ხელშიც დიდი კონტინენტური სივრცეები მოექცეოდა: ჩრდილოეთ ამერიკა, ევრო-აზიური რუსეთი, ავსტრალია და სამხრეთ ამერიკა.

სახელმწიფოთა ტერიტორიული ზრდის პრინციპმა რატცელი მიიყვანა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური იდეის - **„მსოფლიო სახელმწიფოს"** (ჭ ეფშ აცჰ) კონცეფციის თავდაპირველი ვარიანტის ფორმირებამდე. დიდი ქვეყნების მაქსიმალური გეოგრაფიული ექსპანსიის ტენდენცია თანდათანობით გადის პლანეტის დონეზე. რატცელი მიუთითებდა, რომ ბუნებრივი საზღვრებისაკენ სახელმწიფოთა სწრაფვა "დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ კონტინენტების საზღვრებში". ადრე თუ გვიან, მსოფლიო "პატარა აღმოჩნდება" რამდენიმე დიდი სახელმწიფოსათვისაც კი.

აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობდა კონტინენტური სივრცეების პოლიტიკური და სტრატეგიული გაერთიანების ამერიკული გამოცდილებიდან. გერმანიას რატცელი კონტინენტურ სახელმწიფოდ გადაქცევას უწინასწარმეტყველებდა.

ზღვა - ძლიერების წყარო

რატცელი დიდ ყურადღებას უთმობდა ცივილიზაციის განვითარებაში ზღვის როლის გააზრებას, რაც ასევე გეოპოლიტიკის მნიშ-

ვნელოვანი თემაა. რატცელზე დიდი გავლენა მოახდინა მეჰენის წიგნმა „საზღვაო ძლიერების გავლენა ისტორიაზე". წიგნში **„ზღვა, ხალხთა ძლიერების წყარო"** (1900) რატცელი მიუთითებდა, რომ ყოველმა დიდმა სახელმწიფომ თავისი სამხედრო-საზღვაო ძალები უნდა განავითაროს, რადგანაც ამას მოითხოვს სრულფასოვანი ექსპანსია პლანეტის მასშტაბით. ის, რასაც ზოგიერთი ხალხი და სახელმწიფო (ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია და ა.შ.) სპონტანურად ანხორციელებდა, სახმელეთო სახელმწიფოებმა (რატცელი, ბუნებრივია, გერმანიას გულისხმობდა) გააზრებულად უნდა გააკეთონ: ფლოტის განვითარება აუცილებელია „მსოფლიო სახელმწიფოს" სტატუსთან მისაახლოებლად.[2]

რატცელი ხმელთაშუა ზღვის აუზს და ატლანტიკის ოკეანეს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონებად მიიჩნევდა. წყნარ ოკეანეს კი „მომავლის" ოკეანეს უწოდებდა. მისი აზრით, იგი გახდებოდა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს შეჯახების არეალი. რატცელის აზრით, სახელმწიფო, რომელიც პირველობას მოიპოვებდა წყნარ ოკეანეში, ასევე დომინირებულ მდგომარეობას მიაღწევდა მთელ მსოფლიოში. ამას განაპირობებს წყნარი ოკეანის სტრატეგიული მდებარეობა, უნიკალური რესურსები და უდიდესი სივრცე. რატცელს მიაჩნდა, რომ წყნარი ოკეანის რაიონში მოხდებოდა ხუთი წამყვანი მსოფლიო სახელმწიფოს: ინგლისის, აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთის და იაპონიის რთული ძალისმიერი ურთიერთობების „კვანძის გახსნა". რატცელისა და მისი მოწაფეების დასკვნით, გადამწყვეტი კონფლიქტი კონტინენტურ და საზღვაო სახელმწიფოებს შორის წყნარი ოკეანის ზონაში მოხდებოდა და კაცობრიობის ისტორიის ციკლურ ევოლუციას კატასტროფული ფინალით დაასრულებდა. ამავე დროს რატცელი თვლიდა, რომ ამ კონფლიქტში კონტინენტური სახელმწიფოები თავიანთი მდიდარი რესურსებით უპირატესობას მოიპ-

[2] ზღვას და „მსოფლიო სახელმწიფოს" რატცელი უკვე ერთმანეთს უკავშირებს, თუმცა მხოლოდ მომდევნო პერიოდის გეოპოლიტიკოსებთან (მეჰენი, მაკინდერი, ჰაუსჰოფერი, შმიტი) ამ თემამ დასრულებული ხასიათი მიიღო და ცენტრალური მნიშვნელობა მიენიჭა.

ოვებდნენ საზღვაო სახელმწიფოებზე, რომლებიც საკმარის სივრცეს არ ფლობენ თავიანთი გეოპოლიტიკური ბაზის სახით.

მსოფლიოს გეოპოლიტიკური სტრუქტურა

რატცელმა შეიმუშავა ერთ-ერთი პირველი გეოპოლიტიკური სქემა. აღმოსავლეთ ნახევარსფეროში მან გამოჰყო ცალკეული „ხალხთა წრეები", რომლებიც სხვადასხვა სოციოკულტურული ტიპების მატარებლები იყვნენ - **დასავლური** (ატლანტიკიდან წყნარ ოკეანემდე), **აღმოსავლეთ-აზიური, სპარსულ-ინდური** და **ერიტრეული** (აფროაზიური).

„ხალხთა წრეების" მიერ შექმნილი საზღვართა კვანძები შემდგომ შექმნილ მრავალ გეოპოლიტიკურ სქემაზე იქნება წარმოდგენილი. ესაა პირველ რიგში **ახლო აღმოსავლეთის კვანძი**, რომელიც დასავლურ-ქრისტიანული, მართლმადიდებლური და მუსლიმური სამყაროების გადაკვეთაზე მდებარეობს და **ცენტრალურ-აზიური კვანძი**, რომელიც ჩინური (კონფუციურ-ბუდისტური), ქრისტიანული, მუსლიმური და ინდუისტური სამყაროების გადაკვეთაზე მდებარეობს.

რატცელის თეორიის ისტორიული ბედი

თავდაპირველად გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი გეოგრაფები უარყოფდნენ, ანდა ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ რატცელის მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ბიოლოგიურ კონცეფციას. რატცელის მომხრეთა რიცხვი გერმანიაში მხოლოდ მისი უახლოესი მოწაფეებით (ჰელმოლტი, ეკერტი, ჰენში, ჰასერტი, ზაპერი, შიონე) შემოიფარგლებოდა.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის წლებში და, განსაკუთრებით, ომის შემდეგ, როდესაც დამარცხებული გერმანიის გავლენიანი სამეცნიერო თუ პოლიტიკური წრეების განწყობას რატცელის იდეები კარგად ეხმიანებოდა.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი სუპანი 1876 წელს წერდა: „ეგრედ წოდებული პოლიტიკური გეოგრაფიის ადგილი არაა გეოგრაფი-

ის სამეცნიერო სისტემაში", მაგრამ იგივე ავტორი 1922 წელს უკვე აღნიშნავდა, რომ „მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გეოგრაფიის პოლიტიკურ მხარეს".

გერმანიაში რატცელის პოპულარობის ზრდას ხელი შეუწყო შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა, რომელიც რატცელის მიმდევარი იყო. 1916 წელს სტოკჰოლმში გამოქვეყნებული ჩელენის წიგნი **„სახელმწიფო როგორც სიცოცხლის ფორმა"** უკვე ერთი წლის შემდეგ გამოვიდა გერმანიაში.

სახელმწიფოს შესახებ რატცელის ბიოლოგიურმა მოძღვრებამ ნაცისტების ბატონობის დროს გერმანიაში ოფიციალური თეორიის სტატუსი მიიღო. ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში.

კარლ ჰაუსჰოფერის განცხადებით, „მესამე იმპერიის“ შექმნის (ე.ი. ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის) შემდეგ მოხდა რატცელის იდეების „ბრწყინვალე აღდგომა". ამ იდეებმა „გერმანიის ფიურერის ადოლფ ჰიტლერის და მისი მოადგილის რუდოლფ ჰესის სიტყვებში მილიონობით თანამემამულისათვის სახალხო ჟღერადობა შეიძინა".

რატცელის ნაშრომები აუცილებელი თეორიული ბაზა აღმოჩნდა გეოპოლიტიკის როგორც დისციპლინის განვითარებისათვის. მასში ჩანასახოვანი სახით მოცემულია ამ დისციპლის ფაქტობრივად ყველა ძირითადი თეზისი. რატცელის ნაშრომებს ემყარებოდნენ შემდეგი პერიოდის გეოპოლიტიკოსები თავიანთი კონცეფციების შემუშავების დროს.

რატცელის ნაშრომებს იცნობდნენ საქართველოშიც, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა ქართულ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ აზროვნებაზე.

დანართი

ვ. დუმბაძე. ფრიდრიხ რატცელი და იმისი მნიშვნელობა მეცნიერებაში

უკვე რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ლეიპციგის უნივერსიტეტმა და იმასთან ერთად მთელმა ქვეყანამ დაჰკარგა ერთი საუკეთესო მეცნიერი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევრიგებივართ იმ აზრს, რომ ის მხნეობით აღსავსე მეცნიერი, რომლის ტკბილ საუბრითაც ამ რამდენისამე დღის წინად ვსტკბებოდით, უკვე ცივ სამარეშია.

რატცელი შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ საუკეთესო პროფესორი იყო ლეიპციგის უნივერსიტეტისა, არამედ იმითაც, რომ ეტნოგრაფიულ-გეოგრაფიულ მეცნიერებაში მთელი ხანა შეჰქმნა და მით საუკეთესო მეცნიერის სახელი მოიპოვა. რატცელმა განამტკიცა და საკუთარ მეცნიერების ხარისხი მოუპოვა ეგრედ წოდებულ ანტროპოგეოგრაფიას, შეჰქმნა მისი კვლევა-ძიების მეთოდი და მოუპოვა მას მოქალაქეობრივი უფლება დანარჩენ მეცნიერებათა შორის. ბევრნი დღესაც ვერ არჩევენ ეთნოგრაფიას ეთნოლოგიისაგან. ხშირად ჩვენში კი არა, რუსულსა და ევროპიულს ლიტერატურაშიაც შევხვდებით ამ სიტყვებს უკუღმართად ნახმარს. ამ ბოლო დროს ეთნოგრაფია და ეთნოლოგია მეცნიერებმა ერთის საზოგადო სახელით მონათლეს და „ხალხთა ცნობა" უწოდეს. ეს სახელი მკითხველ ქართველის ყურს ეუცხოვება, მაგრამ იგი საუცხოვოდ ხატავს იმ შემეცნებას, რომელივ რუსულ ლიტერატურაში „ნაროდნოვედენიე"-თ, ხოლო გერმანულში „Volkerkunde"-თ იწოდება. ჩვენის რუსულ-ქართულ ლექსიკონის შემდგენელი, ჩუბინაშვილი, სიტყვას „ნაროდნოვედენიე"-ს ამნაირისავე მნიშვნელობით ხმარობს - „ეთნოგრაფია", „ხალხთა ცნობა"-ო სთარგმნის იგი.

„ხალხთა ცნობა" ჰქვიან იმ მეცნიერებას, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ჯგუფს, ხალხს და რასას. რადგან ხშირად ერთი ჯგუფი მეორეს წააგავს ან და სრულიად განირჩევა იმისაგან, ამისთვის საჭიროა იმისი ახსნა და დასაბუთება. აი, ამის კვლევა-ძიებას შესდგომია ეგრედ წოდებუ-

ლი შედარებითი ხალხთა ცნობა ანუ, - ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ხმარებული, - ეთნოლოგია. ეთნოგრაფია კი აღწერილობითი ხალხთა ცნობაა: იგი აგვიწერს ხალხებს, ჯგუფებს და რასებს იმ სახით, რა სახითაც ისინი დღეს არსებობენ და, შეძლებისა დაგვარად, გვიჩვენებს იმათ წარსულსა და ხანდახან მომავალსაც. ასე რომ უეთნოგრაფიოდ ეთნოლოგია წარმოუდგენელია, რადგან პირველს რომ ნიადაგი არ მოემზადებინა, მეორეს გამოსაკვლევი საგანი აღარ ექნებოდა. გეოგრაფიასა და ანთროპოლოგიას ისეთივე ალაგი უჭირავს ხალხთა ცნობის მეცნიერებაში, როგორიც ანატომიასა და ფიზიოლოგიას მედიცინაში. ანთროპოლოგია იკვლევს ადამიანის სხეულებრივსა და სულიერ თვისებებს, როგორც ერთეულ არსებისას. ამას თვით სიტყვა „ანთროპოლოგია”[3] გვიჩვენებს. ანთროპოგიასა და გეოგრაფიას ის მჭიდრო კავშირი აქვთ ხალხთა ცნობის მეცნიერებასთან, რომ პირველი საშვალებას აძლევს უკანასკნელს, კაცობრიობა რამდენსამე დიდ ჯგუფად დაჰყოს იმის სხეულის ნიშნობრივ თვისებისდა მიხედვით, მეორე კი აძლევს მას ცნობებს სხვა-და სხვა ხალხით დასახლებულ ადგილების შესახებ.

აი, ამ ორ ძირითად მეცნიერებიდან შემუშავდა ერთი ახალი მეცნიერება, რომელსაც ანთროპოგეოგრაფია ჰქვიან და რომელთანაც დიდებულ გეოგრაფის რატცელის სახელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული. ანთროპო-გეოგრაფია ის მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს დედამიწის სხვადასხვა ადგიკებისა და იქ მცხოვრებთ ურთიეთ შორის გავლენას. სრულ ჭეშმარიტებას ამბობდა დღეს უკვე გარდაცვალებული მეცნიერი შურცი: „არც ერთ ხალხს არ შეუძლიან თავი დაახწიოს იმ ადგილობრივ პირობების გავლენას, რა ადგილებშიაც იგი სცხოვრობს. ეს გავლენა სწვდება ადამიანის არსების სიღრმეს და იმის აზროვნებათა სამეფოსაც-კი. სწორედ ამიტომ არის დედა-მიწა „დედად წოდებული”. აი, ამ მეცნიერების შემქმნელია ფრიდრიხ რატცელი. მართალია, დასაწყისი ამ მეცნიერებისა რატცელის მასწავლებელს, კარლ რიტტერს, ეკუთვნის, მაგრამ მისი განმტკიცება და ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად გადაქცევა რატცელის წყალობაა, და ამას აფასებს დღეს მეცნიერება. რატცელის მოძ-

[3] „ანთროპოს” ნიშნავს კაცს, ადამიანს, ხოლო „ლოგოს” - სიტყვას, სწავლას.

ღვრებამ მარტო გეოგრაფიულ მეცნიერებას-კი არა, ისტორიულსა და პოლიტიკურსაც-კი დიდი სამსახური გაუწია.

რატცელი პირველად აფთიაქის შეგირდად იყო. ამ შეგირდობის დროს გაუელვა თავში უმაღლეს სწავლისა მიღების სურვილმა. როგორც მხნე კაცმა, მალე სურვილი საქმედ აქცია: სწრაფად მიჰყო ხელი ხაბუნების-მეტყველო საგნების სწავლას და ოთხიოდე წელიწადში დაასრულა კიდეც უნივერსიტეტი დოქტორის ხარისხით. შემდეგ შეუდგა მოგზაურობას, რაც რატცელს მეტის-მეტად აინტერესებდა. ხშირად იტყოდა ხოლმე, რომ საუკეთესო დრო ჩემის ცხოვრებისა მოგზაურობა იყოო. მართალია, მატერიალურად რატცელი შევიწროებული იყო, მაგრამ, აი, დასწერა ერთხელ წერილი გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგ"-ისთვის და რედაქტორმაც უხვად დააჯილდოვა ავტორი. ამ დროიდან იწყება რატცელის თანამშრომლობა ხსენებულ გაზეთში; ამ დროიდან უმჯობესდება იმისი მატერიალური მდგომარეობა. მოგზაურობის შემდეგ რატცელს ვხედავთ პრივატ-დოცენტად, ხოლო ერთის წლის შემდეგ - პროფესორად მიუნხენის უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელში. 10 წლის შემდეგ, როცა ლეიპციგის უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრა განთავისუფლდა, უნივერსიტეტმა მიიწვია 40 წლის რატცელი ამ კათედრაზე და მას აქეთ აღარ მოშორებია ამ უნივერსიტეტს.

შესანიშნავი ნაწარმოები რატცელისა „ანთროპო-გეოგრაფიაა". საზოგადო მოვლენაა, რომ თუ ერთი ვინმე თავის წრეში რაიმე ღირსებით ყურადღებას მიიქცევს, ამაღლდება, მეორეს, რასაკვირველია, სულით მდაბალს და გონებით ლაჩარს, ასეთი ამაღლება თავის თავის დამდაბლებად მიაჩნია, ამიტომ ხშირად პირველს სხვადასხვა ჭორებისა მსხვერპლად ხდის. ეს სენი ყველგან არის სადაც-კი ადამიანს ხელი მიუწვდება - ღარიბ გლეხის ფაცხიდან დიდებული მეფის კოშკამდის. რატცელიც, როგორც შესანიშნავი კაცი, ვერ ასცდა ამ ხიფათს. რომ იმისი რკინის ხასიათი არა, დღეს სულ სხვა რატცელზე გვექნებოდა საუბარი. უბრალო ადამიანთა ცხოვრებაში ჭორს სულ სხვანაირი ბეჭედი აზის, ვიდრე პროფესორთა შორის. იქაც და აქაც მაიძულებელი მიზეზი ერთი და იგივეა - შური. მიზანიც ერთია - ობიექტის გაშავება, მისთვის ჩირქის მოცხება. განსხვავება საშუალებას ეტყობა, რომლითაც ერთი და მეორე სარგებლობენ.

თუ უბრალო მომაკვდავმა რითიმე ყურადღება მიიქცია, შურით შურით აღსავსე მახლობელნი გულს სხვადასხვა ჭორის გავრცელებით იფხანენ, რადგან ზოგს „ხმა ღვთისა და ხმა ერისა" ერთი ჰგონია, მეჭორენიც ხშირად მიზანს ახწევენ. სხვაა მეცნიერთა სამეფოში. აქ ერთმა თუ რამე ისეთი დასწერა, რომ მეცნიერებაში მთელი ხანა შეჰქმნა, მაშინ მეორეს, სუსტ ზნეობის მქონეს, ხშირად შურით ევსება გული და სცდილობს იმის ცოტათი მაინც გაშავებას, ამისათვის ავრცელებს წინააღმდეგ აზრს ლიტერატურაში.

სწორედ ეს დღე დაადგა რატცელის ანთროპოგეოგრაფიას. ამ ნაწარმოების პირველმა ტომმა რატცელი უცებ კიბის უმაღლეს საფეხურამდე აიყვანა; ჭეშმარიტი მეცნიერები ქება-დიდებით იხსენიებდნენ ახალგაზრდა მეცნიერს. ამ გარემოებამ მთლად გადარია რატცელის მოწინააღმდეგენი. როცა რატცელმა მეორე ტომი გამოსცა, მაშინ სხვა ჰანგებზე ააჟღერეს იმათ თავიანთი სიმები. „რატცელს როგორ შეუძლიან რამე კარგის დაწერა, როცა მას სისტემატიური განათლება არ მიუღია" (აფთიაქის შეგირდად ნამყოფია რატცელიო), გაიძახოდნენ.

მეორე შესანიშნავი თხზულება რატცელისა იმისი „ხალხთა ცნობაა", რომელიც სამ ვეებერთელა ტომს შეიცავს. ამ შრომის შემდეგ უკვე დამყარდა მეცნიერებაში სრულის უფლებით ეგრედ წოდებული რატცელის თეორია. რატცელის მეორე დაუფასებელი ამაგი ის არის, რომ მან თავის „ხალხთა ცნობაში" აუარებელის საბუთით დაამტკიცა, რომ კაცობრიობა ერთ მთელს წარმოადგენს და მათ მიერ დასახლებული ადგილები თუ ერთი მეორეს არის დაშორებული, ეს ჟამთა ვითარების გამო მოხდა, ასე რომ იყო დრო, როცა ისიც ერთ მთელს წარმოადგენდაო. ესე იგი რატცელი ეგრედ წოდებული ბასტიანის თეორიის სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს და, ეჭვი არ არის, აქაც ბრძოლა გადახდებოდა იმის თხზულებებს. ამ თხზულებაში რატცელმა ქართველებზე სთქვა: „დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო ლამაზი და შნოიანი ხალხი გეორგიელნი არიან. ყველა ისინი არისტოკრატიულ აგებულებისანი არიან". სილამაზის გარდა რატცელი ბევრს ლაპარაკობდა კათედრიდანაც და თავის ნაწერებშიაც ქართველების პატიოსნებაზე (მე ვფიქრობ, გულუბრყვილობა უფრო შეგვფერის), სიმამაცესა და ახოვნებაზე.

რატცელის კალამს ეკუთვნის აგრეთვე შესანიშნავი ორ ტომიანი წიგნი: „დედამიწა და ცხოვრება", „პოლიტიკური გეოგრაფია" და სხვ. ერთის სიტყვით, ძნელი სანახავია ამნაირი ნაყოფიერი მეცნიერი. ამას აფასებდნენ და აფასებენ კიდეც სიმართლის მაძიებელი სწავლულნი, მაგრამ ამ ნაყოფიერებასაც სხვა მნიშვნელობას აძლევდნენ შურიანი კაცუნები და ზოგიერთი ამათგანნი გესლიანად შენიშნავდნენ - ბევრს წერას რა აზრი აქვსო.

რატცელი უდროდ გარდაიცვალა: იმისი მისსია ჯერ არ იყო მოთავსებული. რატცელმა თან ჩაიტანა საფლავში ერთი დიდი განძი. ეს იყო იმისი შრომა, შრომა, რომლის გამოკვლევასაც ეს იყო ახლა იწყებდა. სათაური ამ ძვირფას შრომისა, როგორც რატცელმა თავის მეგობარსა და მოწაფეს პროფესორ ვოილეს გაუნაწილა, ამნაირი უნდა ყოფილიყო: „ხალხთა მომავალი საზოგადოდ". მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა ერთი განძიც შეემატებია მეცნიერებისათვის. რატცელს საკუთარი სემინარია ჰქონდა, სადაც მეცადინეობდნენ იმისი მოსწავლენი. როცა მიუნხენიდან ლეიპციგში გადაიყვანეს, ეს სემინარია ერთ ღარიბად მორთულ ოთახში იყო მოთავსებული. დღეს-კი რატცელის დაუღალავ შრომის წყალობით, ეს დაწესებულება რამდენსამე დიდრონ ოთახშია მოთავსებული და ყოველნაირი წიგნებიც აწყვია შიგ. წიგნი ათასობით ითვლება. ამ დაწესებულებას ეხლა საგეოგრაფიო ინსტიტუტი ჰქვიან და რატცელი იმისი დირექტორი იყო. აქ შეჰხვდებოდით როგორც გერმანელს, ისე ამერიკელს, ინგლისელსა და ფრანგს. ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი გამოუზრდია ამ ინსტიტუტს, სადაც რატცელი დილიდან საღამომდის და ნასადილევსაც თავს ედგა მოსწავლეებს და გულმოდგინეთ ადევნებდა თვალს იმათ შრომას და სიხარულითა და საგნის მიერ სიყვარულით ავსებდა სტუდენტების ნაკლს.

რატცელის გულკეთილობა და თავაზიანობა ანდაზად იყო სტუდენტებში გავრცელებული. რატცელი არ უდგებოდა პროფესსორის საზოგადო ტიპს, რომელიც, ჩვენის წარმოდგენით, მუდამ ჩაფიქრებულია, გულმავიწყი, გარეგნობით დაუდევარი. არა, რატცელი სულ სხვა ნაირი იყო: მხიარული, სიარულში სწრაფი, საუცხოვოდ ჩაცმული. ტანად რატცელი მაღალი იყო და კარგად, ლამაზად მოყვანილი. იმის ჯანმრთელო-

ბას ყველანი შეჰნატროდნენ. „სირცხვილი, თქვენ ახალგაზრდებოო, ეუბნებოდა თავის მოსწავლეებს, რომ ზამთარში პალტოს იცვამთო". მართლაც რატცელს არასოდეს პალტო არ ჩაუცვამს, იმისდა მიუხედავად, რომ აქ ხშირად 18 გრადუსამდეა სიცივე.

გარდაიცვალა რატცელი 59 წლისა. გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი უკვდავი იქნება, სანამ მეცნიერება არსებობს.

„ცნობის ფურცელი", 1904 წ. 24 სექტემბერი N 2620, გვ.2-3

აიმერიკ შოპრადი. გეოპოლიტიკის დაბადება

რატცელისათვის გეოპოლიტიკა არის ისტორიის ახსნა ადამიანური გეოგრაფიით, ხალხთა და ტერიტორიათა გრძელვადიანი გეოგრაფიით.

ფრიდრიჰ რატცელის (1844-1904) ნაშრომი დაიწერა მაშინ, როდესაც გერმანია არაჩვეულებრივ დინამიზმს ავლენდა. 1871-1914 წლებში გერმანიის მოსახლეობის რაოდენობა 41 მილიონიდან 68 მილიონ ადამიანამდე იზრდება. მრეწველობის ტრადიციულ დარგებში ის ინგლისს დაეწია და ქიმიისა და ელექტრული მასალის პიონერულ სფეროებში გაბატონდა. გერმანია უკვე მსოფლიო წარმოების 15%-ს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

გამრავლდა კომუნიკაციის გზები: 1912 წელს დაიგო 60 000 კილომეტრი (თითქმის უზომო რუსეთის ხელა) რკინიგზის ლიანდაგი, მოხდა რაინის სტრასბურგამდე კეთილმოწყობა და ჩრდილოეთში გაკეთდა კოლოსალური არხები, მაგ კილის არხი (1895 წ.). გერმანული ფლოტი ამ წლებში მსოფლიოს მეორე ფლოტი გახდა. თუმცა პირველი რანგის ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ქცეული გერმანია, ამიერიდან სოფლის მეურნეობის დარგში დეფიციტურია. უსაფრთხოებას მისი დემოგრაფიული და მატერიალური ზრდა საკვების თვალსაზრისით ასუსტებს. იგრძნობა ახალი მიწების ქონის აუცილებლობა.

მაშ, რატცელის აზრი უკმაყოფილების ან რევანშის კონტექსტში არ ჩნდება, როგორც ამას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰქონდა ადგილი. რატცელზე მისი ხალხის სასიცოცხლო სწრაფვა და მსოფლიოში ხალხთა გაშლის დიდი მოძრაობა მოქმედებს. ამავე დროს, მისი აზრი, დიდი

დაბრკოლებებისკენ მიმავალი ქვეყნის რეალისტურ ღელვას გამოხატავს. გერმანიის განვითარება ახალ საჭიროებებს და მოთხოვნილებებს გულისხმობს, რომლებსაც მისი დროის დარვინიზმის ზეგავლენის ქვეშ მყოფი რატცელი ორგანული სახელმწიფოს თეორიით პასუხობს.

ნაშრომში - «პოლიტიკური გეოგრაფია» (1897 წ.), გეოგრაფმა შეიმუშავა თეორია სახელმწიფოსი, რომელიც მისი განსაზღვრების თანახმად, «მიწის ნაწილზე კაცობრიობის ნაწილის გამაერთიანებელი ორგანიზმი» არის. ყოველ სივრცეს თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა და ღირებულება აქვს და დამოკიდებულია ისეთ დიდ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებზე, როგორებიცაა მდებარეობა, განფენილობა და საზღვარი. გეოგრაფიული მდებარეობა არის მუდმივა მიწისა, რომელიც ისტორიის განვითარებას განაპირობებს. დედამიწის გარკვეულ ადგილას არსებული სახელმწიფოები და მცხოვრები ხალხები, ამ ადგილის გავლენას ისტორიის მანძილზე გამუდმებით განიცდიან. მთავარი ფაქტორია ზედაპირიც. შემდეგ მოდის საზღვრის ცნება, ნიადაგის ტიპის, მორწყვის, მაგრამ აგრეთვე დანარჩენ მიწასთან, მიმდებარე ზღვებთან და დაუსახლებელ მიწებთან ურთიერთობა.

რატცელის მთავარი წვლილი გეოპოლიტიკის დისციპლინის შექმნაში, უეჭველად მისი ნიადაგის ინვარიანტებისადმი ყურადღება არის. უპირველეს ყოვლისა, გეოპოლიტიკა არის ისტორიის ახსნა გრძელვადიანი გეოგრაფიით, ხალხთა და ნიადაგთა გეოგრაფიით. რატცელის სახელმწიფო ორგანულია, მაგრამ ის ასევე სულიერი და მორალური ერთეულიცაა. გეომორფოლოგია მნიშვნელოვანია, მაგრამ ის პოლიტიკოსის ნებას ემორჩილება. რატცელის აზრის დაყვანა დეტერმინიზმზე იმ გაგებით, რომ გეოგრაფია ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოთა ქცევას უნდა განსაზღვრავდეს, მისი აზრის დამახინჯება იქნება. გეოგრაფიული, რელიგიური და ეროვნული წარმოდგენები რატცელთან გადამწყვეტ გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა ზრდაზე, მაგრამ ისინი ისტორიას ფატალისტურ დეტერმინიზმში არ კეტავენ. მიუხედავად ამისა, მძიმე ტენდენციებს, მისი სახელი აქვთ.

თავის ერთ-ერთ მთავარ წიგნში - «სასიცოცხლო სივრცე» (1901 წ.), რატცელი აჩვენებს, რომ აუცილებლობა და გადარჩენის იმპერატივი,

გერმანულ ორგანიზმს გეოგრაფიული პირობებით უფრო ახლო რეგიონების განვითარებისკენ უბიძგებს. გაჩნდა ებენსრაუმ-ის (სასიცოცხლო სივრცის) პოლიტიკა, მაგრამ ის უფრო მიწის საჭიროებითაა გამართლებული, ვიდრე სისხლის ყიჟინა-მოწოდებით.

რატცელი სახელმწიფოთა სივრცობრივი ექსპანსიის 6 უნივერსალურ კანონს გადმოსცემს:

1. სახელმწიფოთა სივრცობრივ ზრდას თან ახლავს მათი კულტურის, ეკონომიკის, იდეოლოგიის განვითარება.

2. სახელმწიფოები იზრდებიან ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულების ასიმილაციით, შთანთქმით.

3. საზღვარი არის ცოცხალი ორგანიზმი, რომლის მდებარეობაც ისტორიის მოცემულ მომენტში სახელმწიფოს დინამიზმის მატერიალიზაციას ახდენს (სხვა სიტყვებით, საზღვრების გადაადგილება ბუნებრივია).

4. სივრცობრივი ექსპანსიის პროცესში გეოგრაფიული ლოგიკა სჭარბობს, ვინაიდან სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა, მისი ტერიტორიის სიცოცხლისუნარიანობის განმამტკიცებელ რეგიონებს: ზღვის სანაპიროს, მდინარეთა ხეობებს და უფრო ზოგადად, უფრო მდიდარ ტერიტორიებს შთანთქავს.

5. სახელმწიფოს ექსპანსიისაკენ ბუნებრივად მის პერიფერიაზე, მასზე უფრო დაბალი ცივილიზაციის არსებობა უბიძგებს.

6. უფრო სუსტი ერების შთანთქმის პროცესი უწყვეტია; ზრდასთან ერთად, სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტად ზრდის სურვილი უძლიერდება.

გეოპოლიტიკის ამ კანონებში, სახელმწიფოთა ტერიტორიულ ექსპანსიას, ლიანდაგი ახალისებს. რკინიგზა, სახელმწიფოს ვებერთელა ტერიტორიების დაპყრობა-ათვისების საშუალებას აძლევს. 1850-1914 წლებში, ევროპაში რკინიგზის სიგრძე 30-ჯერ გაიზარდა. 1880 წელს, მატარებლებს გადაჰყავთ 18 მილიონი მგზავრი და გადაქვთ 4,5 მილიონი ტონა ტვირთი; 1913 წელს კი, 547 მილიონი ადამიანი და 173 მილიონი ტონა - ტვირთი. დიდი ომის დაწყებამდე, გერმანიაში, ინგლისში და საფრანგეთში, მატარებლით ყოველწლიურად 6 მილიარდი ადამიანი მოგზაურობს.

1914 წლამდე, მსოფლიო ერთმანეთისგან ყრუდ გამოყოფილ ეროვნულ ეგოიზმებად დაქუცმაცებული არ გახლდათ. პირიქით, ეს იყო ვაჭრობისა და ურთიერთობათა სამყარო, რომელიც თავისი გახსნილობის მიუხედავად, პატივს მიაგებდა მეობასა და ავტორიტეტს. იმ დროისთვის ევროპის ეკონომიკური ინტეგრაცია გაძლიერდა... ევროპელ მეწარმეებს საერთო ინტერესები ჰქონდათ. საწარმოები საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის საზღვრების აქეთ-იქით მუშაობდნენ. საფრანგეთში საღებავების მრავალი გერმანული ქარხანა დამკვიდრდა. ფრანგული და გერმანული საწარმოები განვითარდნენ რუსეთში.

რატცელის გეოპოლიტიკას («პოლიტიკური სივრცეების კვლევა» - 1885 წ., «პოლიტიკური გეოგრაფია» - 1897 წ.) სახელმწიფო-კონტინენტების უზომო სიდიდე ხიბლავს და აჯადოებს. რატცელმა, ეს 1873 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას განიცადა. მან მაშინ დაასკვნა, რომ მომავალი, გიგანტური ტერიტორიის და რესურსების მქონე სახელმწიფოებს ექნებათ. სწორედ ასე გაჩნდა პროექტი ევროპისა, რომლის ცენტრალური ძრავა გერმანია უნდა იყოს. XIX საუკუნის დასასრულის გერმანიის მატერიალური უპირატესობა ხომ შეედრება გასული საუკუნის საფრანგეთის ძალას? განა გერმანიის სამხედრო მანქანა მეზობელი რესპუბლიკის სამხედრო მანქანაზე ორჯერ დიდი არაა? ესაა ძლიერი ევროპის ინტუიცია და სწორედ ის ემუქრება ანგლო-საქსთა მსოფლიოზე ბატონობის პროექტს, რომელიც მაკინდერმა ესოდენ კარგად განმარტა.

რკინიგზის რევოლუცია შესაძლებელს ხდის ინგლისელი გეოპოლიტიკოსის, მაკინდერის მიერ მოხაზული გერმანულ-სლავური ღერძის (გულის ქვეყნის) -ის ირგვლივ ევრაზიის გაერთიანებას, რამაც შეიძლება ზღვებზე ანგლო-საქსური თალასოკრატიების (ზღვათა სახელმწიფოების) განუყოფელ ბატონობას მოუღოს ბოლო. ანგლო-საქსურ უპირატესობას, გერმანიიდან ემუქრება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პანამერიკანიზმის და რუსული პანსლავიზმის სარკე პანგერმანიზმი, ასევე რწმენა «გერმანული გაბატონებული რასისა», თვალსაჩინო ამერიკული ბედის სარკე.

გერმანიის საფრანგეთიდან რუსეთამდე განვითარება თუ კი ევროპის განვითარების ძრავად იქცევა, მაშინ ამ ანგლო-საქსურ დომინაციას

ბოლო მოეღება. ეს ლონდონის და ნიუ იორკის კაპიტალისტებმა დაინახეს და ხელი კონტინენტურ (ფრანგულ, რუსულ, გერმანულ) ნაციონალიზმთა გაძლიერებას შეუწყვეს. ამის ერთადერთი მიზანი ევროპული პროექტის მოსპობა იყო. ანგლო-საქსებისთვის საფრთხე მით უფრო დიდი გახლდათ, რადგან გერმანული ამბიცია ევროპული კონტინენტით არ შემოიფარგლებოდა.

რატცელის გეოპოლიტიკამ გერმანიის მიერ გაერთიანებული ევროპული სახელმწიფო-კონტინენტის მსოფლიო როლი მოიხაზა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმ დროისთვის, როცა რატცელი თავის პროგრამებს წერდა, გერმანიას მსოფლიო პოლიტიკაში («ველთპოლიტიკ») ჩართვის მრავალი შესაძლებლობა ხელიდან უკვე გაშვებული ჰქონდა. გერმანიამ უარი თქვა კალიფორნიაზე, რომელსაც მას 1842 წელს მექსიკა სთავაზობდა. მან უარი თქვა ტეხასის კოლონიზაციაზე, მაშინ, როდესაც მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ელზას-ლორენის ანექსია კი, საზარალო გახლდათ ევროპული ერთიანობის დიდი პოლიტიკისათვის.

პარიზის მოსკოვისაგან ჩამოსაშორებლად, ლონდონმა «გულითადი თანხმობა» (ნტანტ ორდიალ) შექმნა. რატცელის აზრით, გერმანიას მხოლოდ კოლონიალური არჩევანი დარჩა. 1890 წელს, პანგერმანისტულ ლიგაში ჩაბმული რატცელი, იმავე დროს, კოლონიალიზმის გააფთრებული დამცველია. ის 1882 წელს დაარსებული კოლონიალური კომიტეტის («კოლონიალფერაინ») დამფუძნებელი წევრია და ბისმარკის ვიწრო კონტინენტურ ხედვას უპირისპირდება. 10 წლით ადრე, ბისმარკს ერჩივნა, რომ საფრანგეთი საზღვაო დაპყრობებზე და არა ელზას-ლორენის დაბრუნებაზე ყოფილიყო კონცენტრირებული. ის აფრიკაში ფრანგებთან და ბრიტანელებთან გაჯიბრებას არ ემხრობობდა. რატცელს სწამს, რომ გერმანიას, რომელსაც მსოფლიოში წამყვანი ადგილის დაკავება არ ძალუძს, კოლონიალური იმპერია უნდა ჰქონდეს.

გეოგრაფმა რატცელმა, იმ დროისთვის ცუდად ცნობილი აფრიკის რუკის შედგენაში თავისი წვლილი შეიტანა. მან გერმანული კოლონიალური საკითხის შესახებ მრავალი წერილი დაწერა. ეს განსაკუთრებით ხდებოდა 1885 წლისთვის, როდესაც ბერლინის კონგრესმა ევროპულ სახელმწიფოებს შორის აფრიკის დანაწილება გადაწყვიტა.

რატცელმა დაინახა, რომ ყველა ოკეანეში და ყველა კონტინეტზე გასვლით და მსოფლიო ვაჭრობის საკვანძო ადგილების (გიბრალტარი, სუეცი, კაპი, ადენი, სინგაპური, ჰონკონგი) დახურვით, ინგლისი მსოფლიოს უდიდეს ძალად იქცა. მან ნიადაგი მოუმზადა ადმირალ ტირპიცის გერმანულ პროგრამას. რატცელმა დაინახა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა, ზღვათა გაყოფაში გერმანიას წინ გაუსწრეს და აუცილებლად ჩათვალა გერმანიის დაკავშირება აზიასთან, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთთან (იაპონიასთან).

გერმანია-აზიის კავშირის რატცელისეული მოსაზრება, დიდმა გერმანელმა გეოპოლიტიკოსმა კარლ ჰაუსჰოფერმა აიტაცა, მას ნაციონალ-სოციალისტური გერმანიაც დაეთანხმა. მრავალი სწავლულის მსგავსად, რატცელზეც გავლენა მისმა ხანამ მოახდინა. ესაა პირველ რიგში ბისმარკის (1862-1890) დროს, ევროპაში პირველობაზე და შემდეგ კიდევ უფრო, ვილჰელმ მეორის (1888-1918) დროს, მსოფლიოში პირველობაზე მეოცნებე ღრმად ნიცშეანური გერმანიის პროდუქტი.

XIX საუკუნის ბოლოს, ყველა სხვა მეცნიერის მსგავსად, სოციალურ მეცნიერებებში ზუსტი მეცნიერებების პროგრესის შეტანა რატცელსაც სურდა. საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, რატცელის ნაშრომები, გეოპოლიტიკისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობას ხაზს უსვამენ. აქედან გამომდინარეობს ე. წ. «რეალპოლიტიკ»-ა, რომელიც მასში სახელმწიფოს უმაღლეს მიზანს ხედავს: სახელმწიფომ ხალხს უნდა მისცეს მიწა, რომელიც ხალხის განვითარებისთვისაა საჭირო.

რატცელმა ნიადაგი მოუმზადა კარლ ჰაუსჰოფერის კიდევ უფრო განსრულებულ გეოპოლიტიკას, რომელმაც პასუხი გასცა მაკინდერის გლობალისტურ და ანგლო-საქსურ პროექტს.

ფრანგული ჟურნალი «ისტორიის ახალი ჟურნალი», საგანგებო ნომერი «სახელმწიფო დანაშაულები, პოლიტიკური სკანდალები», 2012 წლის მარტი-აპრილი.

თარგმანი გიორგი მარჯანიშვილისა

http://www.ai-ia.info/online-arqivi/107-geopolitikis-dabadeba.htm